პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 180 (11791) | პარასკევი, 5 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ახალი ენერგიით, ახალგაზრდებო!

ხალისიანად, ფრთაგაშლილად, პატრიოტული თავდადებით შრომობენ ჩაის ფრონტზე ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ჭაბუკები და ქალიშვილები. მათი გმირული შრომა აღფრთოვანებს ასობით და ათასობით ადამიანს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს მეჩაიეობისადმი თავიანთ მიმართვაში მაღალი შეფასება მისცეს ჩაის ფრონტზე მომუშავე ჭაბუკებისა და ქალიშვილების შრომას. მათი შრომის ასეთი მაღალი აღიარება ჩვენმა ახალგაზრდებმა ღირსეულად დაიმსახურეს.

რესპუბლიკის სუბტროპიკულ რაიონებში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც ახალგაზრდობას თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი არ შეჰქონდეს საქართველოს სოფლის მშრომელთა საერთო წარმატებებში. ეს განსაკუთრებით ეხება 145.000 ტონა ჩაისათვის ბრძოლის ფრონტზე.

მოპოვებული მიღწევები უდავოა. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს მიღწეულით დაკმაყოფილება არა სჩვეოდათ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჩაის ფრონტის ყველა მშრომელს, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდებს მოუწოდეს:

„ჩაის ფოთლის ახლანდელი უხვი მოგროვება დროს არ შეიძლება დავკარგოთ გეგმის და თუნდაც ვალდებულების შესრულებას. ახლა შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, რომ მნიშვნელოვანი გადადგარებები შეკასრულოთ სოციალისტური ვალდებულება. რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რომლებმაც ჩაისათვის ბრძოლის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს, მთლიანად უნდა გამოიყენონ მიმდინარე წლის ყველა შესაძლებლობა, დარაზმონ კომუნისტები, კომკავშირელები და ყველა მშრომელი კრეფის სეზონის წარმატებით დასამთავრებლად, მნიშვნელოვანი ოდენობით გადაბარგონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება“.

ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა საფოლის ახალგაზრდობა. დაიწყო ძაბული შემოქმედებითი შრომა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. უკვე გამოჩნდნენ ასობით მეჩაიე ახალგაზრდები, რომლებმაც კარგა ხანია შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა თავდადებით განაგრძობენ ბრძოლას ახალი გადიდებული ვალდებულებების ვადაზე ადრე შესასრულებლად.

ამ დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა მეჩაიეობის რაიონების ახალგაზრდობის შრომითი საქმეების საკითხზე და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობამ თავისი გმირული, თავდადებული შრომით კვლავ შექმნა რეალური შესაძლებლობა დიდი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ფართოდ გაშლილ შეჯიბრებაში, — აღნიშნულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — გამოვლინდნენ ახალგაზრდული ბრიგადები, რგოლები, ცალკეული კომკავშირელები და ახალგაზრდები, რომლებიც ალანტაციობაში შრომით, მაღალი ზნეობრივი თვისებებით იმსახურებენ კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის ღირსეულ სახელს.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომლითაც კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდება მიენიჭა მეჩაიეობის რაიონის 9 რგოლსა და ბრიგადას; კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი მიენიჭა ავრეთვე მრავალ წარჩინებულ მეჩაიეს, რომლებმაც გამოიჩინეს დიდი გმირობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, ხოლო ათობით მოწინავე მეჩაიე შეტანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მოიპოვა ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ნაცვალაძე), რომელმაც მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 60.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და იკისრა ვალდებულების ზევით სეზონის ბოლომდე მოკრიფოს 6.000 კილოგრამი. კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი მოიპოვეს აგრეთვე წალენჯიხის რაიონის ნაკიფუს სტალინის სახელობის ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ნ. ბელქანია), ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდულმა ბრიგადამ (ბრიგადირი ი. ნოინაძე), წყალტუბოს რაიონის მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ნ. ფხაკაძე), წულუკიძის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ი. ფოფონაძა), ლანჩხუთის რაიონის ქვემო აკეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ვ. მოჩრილაძე), ტყიბულის რაიონის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ო. სოფრომაძე), ცხაკაიას რაიონის ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. ელიავა), ზუგდიდის რაიონის რუხის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ლ. ჯანაშია).

კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელი მიენიჭა ნატანებელ ახალგაზრდა მეჩაიეს ვალიდა ცქვიტინიძეს. ამ შრომისმოყვარე ახალგაზრდამ 3.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი რომ მოკრიფა, მტკიცედ გადაწყვიტა არ დაკმაყოფილებულიყო მიღწეულით და დამატებით იკისრა 3.500 კილოგრამის მოკრიფა. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. კომუნისტური შრომის დამკვრელთა შორის ჩვენ ვხედავთ მრავალ ახალ სახელს, რომელთაც წინათ არ იცნობდა ჩვენი რესპუბლიკა.

ბარაქალა ნოვატორული შრომის ადამიანთა მადლიან მარჯვენას!

...ახლა დაიწყო ცხარე, გადამწყვეტი დღეები, — წერდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი მიმართვაში, — რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გამარჯვება. თქვენ ყველა შესაძლებლობა გაქვთ. რომ არ შეანელოთ კრეფის დასაწყისში აღებული ტემპი, და ეჰვი არ არის, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, შეასრულებთ

სამეზობლოსათვის მიცემულ პირობას. თქვენ მოგბაძავენ მევენახეები და მებაღეები, მეთამბაქოეები და მებოსტნეები, მეცხოველეები და მესილოსები. საქართველოს სოფლის ყველა მშრომელი, რომელნიც მტკიცედ იბრძვიან შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის“.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩაის ფრონტის კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები მალე მხარში ამოუდგებიან საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან გამოვლინებული კომუნისტური შრომის დამკვრელები — შვიდწლედის ახალ-ახალი გმირები. ჩვენი სახელოვანი მომავლის მზვერავები.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართოდ განაზოგადონ კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მდიდარი გამოცდილება, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათი მიმდევრების გამრავლებას, ჩვენი სახელოვანი ჭაბუკებისა და ქალიშვილების შემოქმედებითი შრომის ფართო გაქანებას.

ღირსეული

საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთა დაჯილდოება

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა საზღვაო ტრანსპორტის 1461 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 146 კაცი, მათ შორის: კასპიის სანაოსნოს თბომავალის მატროსი ი. მ. აკპეროვი, ბალტიის სანაოსნოს თბომავლის კაპიტანი ა. დ. ბოროდინი, ლენინგრადის სავაჭრო ნავსადგურის უფროსი ა. ლ. ვასილიევი, ჩრდილოეთის სანაოსნოს თბომავლის უფროსი მექანიკოსი ა. ი. ვეშნიაკოვი, ოდესის ნავსადგურის უფროსი მეამწე ა. ი. დანილოვი, რიგის ნავსადგურის უფროსი მეამწე ე. ს. დერკა, დიქსონის რადიომეტეოცენტრის უფროსი ვ. ი. იგნატჩენკო, სახალინის სანაოსნოს გემის მეანძანე ნ. პ. კნიაზევი, შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს ტანკერის უფროსი მოტორისტი ი. დ. კოვალიოვი, დუნაის სანაოსნოს კარჩაპის შაიპერი ე. ი. ლუჩკო, ქალაქ ოდესის საზღვაო ტრანსპორტის პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. ა. მატუზენკო, კასპიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს უფროსი მ. რაგიმოვი, ესტონეთის სანაოსნოს თბომავლის უფროსი მექანიკოსი ხ. ი. რანდპერე, მურმანსკის სანაოსნოს ყინულმჭრელის კაპიტანი ფ. ი. ფედოსეევი, ბალტიის სანაოსნოს თბომავლის კაპიტნის პირველი თანაშემწე ბ. კ. შაბუნინი და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 372, „საპატიო ნიშნის“ ორდენით 552, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ 196 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ 195 კაცი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საზღვაო ტრანსპორტის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საზღვაო ტრანსპორტის განვითარების საქმეში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. **აბაკუმოვს** ანატოლი გრიგოლის-ძეს — ჩრდილოეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, არხანგელსკის ოლქი.
2. **ბოკიევეცს** ვლადიმერ არქიპოს-ძეს — ვლადივოსტოკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირს, ზღვისპირეთის მხარე.
3. **ბორკაროვს** ვასილ ივანეს-ძეს — შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს სოვეტსკაია გავანის გემთშესაკეთებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს, ხაბაროვსკის მხარე.
4. **ვავილოვს** პავლე ივანეს-ძეს — მურმანსკის სახელმწიფო საზღვაო არქტიკული სანაოსნოს ყინულმჭრელის უფროს მემანქანეს, მურმანსკის ოლქი.
5. **ვოოლენსს** ფელიქსს — ესტონეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის კაპიტანს, ესტონეთის სსრ.
6. **გრიცეუკს** იგორ ნიკოლოზის-ძეს — სახალინის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, სახალინის ოლქი.
7. **გრიშინს** ბორის ანდრიას-ძეს — შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, ზღვისპირეთის მხარე.
8. **დანჩენკოს** ალექსი ევგენის-ძეს — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს უფროსს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.
9. **ევგრაშკინს** რუსლან ივანეს-ძეს — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.
10. **ზაიცევს** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს — ტიქსის რაიონული რადიომეტეოროლოგიური ცენტრის პოლარული სადგურის უფროსს, იაკუტიის სსრ.
11. **კომპანეეცს** მიხეილ მაქსიმეს-ძეს — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის მეცეცხლურს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.
12. **კონდრუსს** ბრუნო კარლის-ძეს — ლატვიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს გემის კაპიტანს, ლატვიის სსრ.
13. **კოტოვს** ვლადიმერ სერგის-ძეს — ბალტიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს კანონერის გემთშესაკეთებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს, ქალაქი ლენინგრადი.
14. **კუზნეცოვს** ივანე ვასილის-ძეს — ლენინგრადის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მეამწეს, ქალაქი ლენინგრადი.
15. **ლეონიკასს** ჩესლოვას იონას-ძეს — კლაიპედის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროს მეამწეს, ლიტვის სსრ.
16. **მალახოვს** ნიკოლოზ ნიკიტას-ძეს — შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს უფროსს, ზღვისპირეთის მხარე.
17. **მასლეხას** ალექსი თევდორეს-ძეს — ნოვოროსიისკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროს მეამწეს, კრასნოდარის მხარე.
18. **მელნიკოვს** პეტრე გრიგოლის-ძეს — კასპიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის ტუმბოს მემანქანეს, აზერბაიჯანის სსრ.
19. **პეჩინსკის** კონსტანტინე ანტონის-ძეს — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს აზოვის სამმართველოს გემის უფროს მექანიკოსს, უკრაინის სსრ, სტალინოს ოლქი.
20. **რეკევას** კონსტანტინე ფილიპეს-ძეს — ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსს, საქართველოს სსრ.
21. **საბლინს** პეტრე პეტრეს-ძეს — კასპიის საზღვაო გზების სარეიდო სამმართველოს მიწის ამოსახპავი დანადგარის კაპიტანს, ასტრახანის ოლქი.
22. **საველიევს** სერგეი ალექსანდრეს-ძეს — ბალტიის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის ბოცმანს, ქალაქი ლენინგრადი.
23. **სვირნენკოს** პეტრე სტეფანეს-ძეს — დიქსონის რაიონული რადიომეტეოროლოგიური ცენტრის პოლარული სადგურის უფროს ჰიდრომეტეოროლოგს, კრასნოიარსკის მხარე.
24. **სოროკას** დიმიტრი ეგნატეს-ძეს — შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს დიზელელექტრომავლის კაპიტანს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.
25. **ჰათამოვს** ყარას — შუა აზიის სახელმწიფო სანაოსნოს გემის კაპიტანს, უზბეკეთის სსრ.
26. **ჩერნევს** ანატოლი ალექსანდრეს-ძეს — კამჩატკის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს თბომავლის კაპიტანს, კამჩატკის ოლქი.
27. **იაკოვლევს** გრიგოლ გიორგის-ძეს — დუნაის სახელმწიფო სანაოსნოს კარჩაპის შაიპერს, უკრაინის სსრ, ოდესის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 3 აგვისტო.

საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით **დაჯილდოვა:**

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ლენინის ორდენით

ვატაევი გიორგი სიმონის-ძე — ფოთის ნავსადგურის უფროსის მოადგილე.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **კანკია** დომენტი კონსტანტინეს-ძე — ფოთის ნავსადგურის უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი.
2. **კაჭარავა** გენადი ესტატეს-ძე — ფოთის ნავსადგურის ბუქსირის კაპიტანი.
3. **კუმაკაშვილი** გიორგი მიხეილის-ძე — ბათუმის ნავსადგურის ბუქსირის უფროსი შტურმანი.
4. **ოჩიგავა** აფრასიონ ილარიონის-ძე — ფოთის ნავსადგურის პარტბიუროს მდივანი.
5. **სადრაძე** ვახტანგ იაკინთეს-ძე — ფოთის ნავსადგურის რაიონის უფროსი.
6. **სიმონიშვილი** შალვა სამსონის-ძე — ბათუმის ნავსადგურის უფროსი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ავეტისიანი** სურენ საროს-ძე — ბათუმის ნავსადგურის მტვირთავი.
2. **ბელი** მიხეილ ალექსის-ძე — ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირი.
3. **გუგუშვილი** გივი პავლეს-ძე — ფოთის ნავსადგურის უფროსი მეამწეე.
4. **დემეროვი ალექსანდრე** ტიგრანის-ძე — ბათუმის ნავსადგურის ბუქსირის მესამე მექანიკოსი.
5. **დომარაცკი** ფრანც იოსების-ძე — სოხუმის ნავსადგურის უფროსი დისპეტჩერი.
6. **კოდუა** გიგლა გრიგოლის-ძე — ფოთის ნავსადგურის კარჩაპის უფროსი მეამწეე.
7. **ჰანტურია** ნოდარ ბაგრატის-ძე — ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ჯაბუა** აკაკი ივანეს-ძე — ფოთის ნავსადგურის მტვირთავი.
2. **ილიუხინი** ვასილ გაბრიელის-ძე — ფოთის ნავსადგურის მტვირთავი.
3. **რამიშვილი** ოთარ ლავრენტის-ძე — ბათუმის ნავსადგურის უფროსი ელექტრიკოს-მეამწეე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **გაბრიჩაძე** დიმიტრი კალენიკეს-ძე — ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადირი.
2. **დეოროვენკო** მიხეილ თევდორეს-ძე — ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის მასწავლებელი.
3. **ზურაბიანი** ზურაბ არტემის-ძე — ბათუმის ნავსადგურის მცირე მექანიზაციის მძღოლი. (საკდესი).

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲗ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

გმირი მეზღვაური

ღიითა და ღამით მძლავრად ცემს ზვიდწლედის შემოქმედებითი მაჯისცემა ფოთის ნავსადგურში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ამიერკავკასიის საზღვაო კარს.

ყოველდღე, 12 საათისათვის ამუშავდება სანავსადგურო მეურნეობის ცენტრალური სელექტორი. საწარმოო რაიონებიდან და ობიექტებიდან იტყობინებიან დღეღამის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებს, მისი მეშვეობით წარმოებს დავალებათა, განკარგულებათა გაცემა. ამ დროს ყველა საწარმოო ობიექტის ხელმძღვანელები და განყოფილებათა უფროსები სელექტორის ქსელში ჩართულ რადიოაპარატებთან არიან, ხოლო მთავარი სელექტორის მაგიდას უზის და მთელ პროცესს წარმართავს შუახანს მიღწეული, სანდომიანი სახის ქერა კაცი, რომლის ხმა ზარივით რეკავს და საქმიდან გამომდინარე სწორ დასკვნებს აძლევს თავის ხელქვეითებს. ეს კაცი ამ რთული სამეურნეო ხელმძღვანელის პოსტზე 23 წელია იმყოფება და უმწიკვლო, ნაყოფიერი მოღვაწეობით ხალხის სიყვარულსა და დაფასებას იმსახურებს. იგი ფოთის მშრომელებისა და საზღვაო ტრანსპორტზე მყოფ თანამოსაქმეთათვის კარგად ცნობილი პიროვნებაა. ეს არის **კონსტანტინე ფილიპეს-ძე რეკვავა.**

სამეურნეო ხელმძღვანელის ჩინებული თვისებები გამოამჟღავნა კ. რეკვავამ ამ საპატიო პოსტზე. ის თავიდანვე დაინტერესდა მექანიზაციის განვითარების საკითხებით და შესძლო ბევრი რამ გაეკეთებინა ამ დარგში. ჯერ კიდევ სამამული ომის დროს ფოთის ნავსადგურში მნიშვნელოვნად ამაღლდა მექანიზაციის როლი. უახლესი ამწეებითა და მექანიზმებით შეივსო პარკი. გაიზარდა ტვირთბრუნვა.

მაგრამ ომმა, როგორც ყველა სხვა საქმეს, ამასაც დროებით თავისი დაღი დასვა, თუმცა ნავსადგურის კოლექტივი და პირადად კ. რეკვავა ყველაფერს აკეთებდნენ ფრონტისათვის დახმარების საქმეში. 1942 წელს იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო შემდგომ — მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლებში“.

ომის დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“. მას მიღებული აქვს აგრეთვე საზღვაო ფლოტის საპატიო მუშაკის ნიშანი.

კ. ფ. რეკვავა არჩეული იყო საქართველოს სსრ პირველი, მეორე და მეხუთე მოწვევის დეპუტატად.

ომის შემდგომ წლებში არნახულად გაიზარდა, უფრო კეთილმოწყობილი გახდა ნავსადგური.

კ. რეკვავა არაერთი ტექნიკური სიახლის უშუალო შემოქმედი და ინიციატორია. მან შეიმუშავა გემის ტრიუმიდან ლითონის ნაჭრების ელექტრომაგნიტური ხაზით ამოღების ტექნოლოგია, რითაც საგრძნობლად გააადვილა ეს შრომატევადი სამუშაო, გააიაფა თვითღირებულება და წარმოებას მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მისცა. მისივე ინიციატივით შემუშავდა და გაჩაღდა ნავსადგურის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები.

ყოველივე ამით ჯერ უფრო გაღიდდება ტვირთბრუნვა და წარმატებით იქნება განხორციელებული საპატიოდ დაკისრული პირობა — შვიდწლიანი გეგმა შესრულდეს 6 წელიწადში. მიმდინარე წლის გეგმას ნავსადგურელები ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდებენ. 15 აგვისტომდე ისინი გადავლენ 7-საათიან სამუშაო დღეზე.

კ. რეკვავა სკკპ წევრია 1939 წლიდან. იგი სამეურნეო ხელმძღვანელ საქმიანობას კარგად უთავსებს პარტიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას — არჩეულია პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად და საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სახელოვანი გზა განვლო ფოთის ნავსადგურის ვეტერანმა უფროსმა კონსტანტინე რეკვავამ. ამ საქმიანობის დიდებული დაფასებაა მისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება. ეს დიდი დაფასებაა ნავსადგურის სახელოვანი კოლექტივის შრომისა.

კ. კომპასიძე.

ქ. ფოთი.

• • •

სურათზე: კ. რეკვავა.

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საქართველოს კომპარტიის ზნაურის რაიკომის მდივანს ამხანაგ გ. ი. ძაგოევს

ზნაურის რაიალმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ გ. ო. მიდოდაშვილს

საქართველოს ალკკ ზნაურის რაიკომის მდივანს ამხანაგ ა. ს. ზასეევს

ზნაურის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 104 პროცენტით, რძისა — 101,1 პროცენტით, კვერცხისა — 101,9 პროცენტით, მატყლისა — 100,4 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების გზით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ წნელისის (თავმჯდომარე გ. ს. ტაბუევი), წულის (თავმჯდომარე გ. ნ. ტორეშელიძე), იონჩის (თავმჯდომარე გ. ი. გაგლოევი), ავწევის (თავმჯდომარე რ. ი. სიქთურაშვილი), მუგუთის (თავმჯდომარე ს. ი. ფუხაევი) კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ 1960 წლისათვის იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ

ბაკო, 4 აგვისტო. (**საკდესის სპეც. კორ.**). გუშინ აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს, რომელიც დაჯილდოებულია აზერბაიჯანის დედაქალაქის მშრომელთა წარმატებითი კულტურული მომსახურებისათვის და ბაკოში გამართულ გასტროლებთან დაკავშირებით.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს მსახიობები, აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ზ. შუქუროვამ წაიკითხა ბრძანებულება თეატრის დაჯილდოების შესახებ. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ს. მ. ჯაფაროვმა შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო სიგელი გადასცა თეატრის მუშაკთა ჯგუფს.

შემდეგ საპატიო სიგელები გადაეცა მსახიობთა და რეჟისორთა ჯგუფს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. მ. კანდელაკი. მან მადლობა გადაიხადა საპატიო ჯილდოსათვის და პირობა მისცა შეკრებილთ, რომ გრიბოედოველთა შემოქმედებითი კოლექტივი კვლავაც ენერგიის დაუზოგავად იმუშავებს ხალხისათვის.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გამოვიდა ამხ. ს. მ. ჯაფაროვი. მან გულითადად მიულოცა თეატრის კოლექტივს გასტროლების წარმატებით დამთავრება, ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა საქართველოს მსახიობებს.

1960 წლის 9 აგვისტოს დილის 11 საათზე თბილისის შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა 19) მოწვეულია

საქართველოს პროფსაბჭოს მესამე პლენუმი.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში ენერგიული მუშაობით ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მეფრინველე ეთერ რეხვიაშვილი. 3.000 წიწილიდან მან 2.750 შეინარჩუნა და გაზარდა. ეთერ რეხვიაშვილი დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „მოწინავე მეფრინველე“.

სურათზე: ეთერ რეხვიაშვილი.

ფოტო ჭ. ხახუტაშვილისა.

საბჭოთა მთავრობამ ცნო ზემო ვოლტის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა

დეპეშების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა და მ. იამეოგოს შორის

ზემო ვოლტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. იამეოგომ საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ზემო ვოლტის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდება 1960 წლის 5 აგვისტოს.

4 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მ. იამეოგოს გაუგზავნა საპასუხო დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირი, განუხრელად იცავს რა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებს და დიდი პატივისცემით ეკიდება ზემო ვოლტის ხალხის სამართლიან ეროვნულ მისწრაფებას, საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ცნობს ზემო ვოლტის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მზად არის დამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი“.

ნ. ს. ხრუშჩოვი იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა კავშირსა და ზემო ვოლტის რესპუბლიკას შორის განვითარდება მეგობრული ურთიერთობა, რომელიც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობის საქმეს. (საკდესი).

მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეცხვარეობას, — მეცხოველეობის პერსპექტიულ დარგს — ერთ-ერთი წაძყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. იგი ძირითადად განვითარებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, ხოლო ზოგიერთი მთიანი რაიონისათვის კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითადი წყაროა.

მეცხვარეობის შემდგომ განვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული ხორცის, მატყლის წარმოების გადიდება, მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნა. ამიტომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები, ახორციელებენ რა პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ენერგიულად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ უმნიშვნელოვანესი უბნის ახალი მკვეთრი აღმავლობისათვის.

მეცხვარეობის მდგომარეობას და მისი შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამაა წინათ გიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თათბირს დაესწრნენ მეცხვარეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მოწინავე მეცხოველეები, მეცნიერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები სხვადასხვა რაიონიდან და კოლმეურნეობიდან მეცხვარეობის მდგომარეობის საკითხებზე და ღონისძიებებზე, რომლებიც ადგილებზე ხორციელდება მისი შემდგომი განვითარებისათვის. პირველი გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. **ზ. ბიძინაშვილი.**

— სიღნაღის რაიონის მშრომელები, — თქვა მან, — დიდ ინტერესს იჩენენ მეცხვარეობის განვითარებისადმი. კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება ცხვრის სულადობა, იზრდება მისი პროდუქტიულობა. თუ 1959 წელს 90 ათასი სული ცხვარი გვყავდა, ახლა ამ ციფრამ 150 ათასს მიაღწია. გადიდდა მატყლის წარმოება. თუ 1958 წელს საშუალოდ ერთ ცხვარზე მიღებული იყო 2,3 კილოგრამი და სახელმწიფოს მიეყიდა 100 ტონა მატყლი, შარშან ყოველ ცხვარზე მივიღეთ 3,3 კილოგრამი, ხოლო სახელმწიფოს მივყიდეთ 300 ტონა მატყლი. მეცხვარეობის ფულადმა შეკოსავლამ რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელების საერთო შემოსავალში შეადგინა 43,3 პროცენტი, სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის მთელი რაოდენობა 25 პროცენტი ცხვრის ხორცი იყო.

რაიონის მეცხოველეობის ფერმებში ფართოდ დაინერგა საადრეო დოლი. ცხვრის გამრავლების ეს პროგრესული მეთოდი პირველად დანერგეს სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში ფერმის გამგემ მჭედლიშვილმა. და კოლმეურნეობის მწყემსმა ჩალაბაშვილმა. მოაწყეს რა 573 დედაცხვრის საადრეო დოლი, ორ წელიწადში ყოველ 100 დედაცხვარზე მიიღეს 306 ბატკანი.

მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობები საადრეო დოლის მეთხებით 13 ათას ცხვარზე დამატებით მიიღებენ 100 ტონა ხორცს და 12 ტონა მატყლს, რაც მოგვცემს ერთ მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს. ცხვრის გამრავლების ახალი პროგრესული მეთოდების დანერგვაში დიდი წარმატებები მოიპოვეს სოფლების ქვემო მაჩხაანის, ბოდბისხევის, ნუკრიანის კოლმეურნეობებმა. მიმდინარე წელს საადრეო დოლის მოსაწყობად დათესილია 20 ათასი სული დედაცხვარი. თუ საადრეო დოლთან დაკავშირებით საზაფხულო საძოვრებზე მყოფ პატარა ვერძებს ახალი წესით დაკოდავენ, ხორცისა და მატყლის წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება.

კომუნისტი

№-ე გვერდი, პარასკევი, 5 აგვისტო, 1960 წ.

იქმნება საჭირო პირობები იმისათვის, რომ მოეწყოს ცხვრის საადრეო დოლი: შენდება ფარეხები, მზადდება საკვები. როგორც მთელი რიგი წლების პრაქტიკამ ცხადყო, საუკეთესო შედეგებს საადრეო დოლის დროს თუშური ცხვარი იძლევა. ამ ჯიშის ცხვარი უკეთ ეგუება სამომთაბარეო ძოვების პირობებს. ამიტომ განზრახული გვაქვს აღვადგინოთ ეს ცხვარი 60-70 პროცენტის ფარგლებში.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის მუშაკები პოულობენ გამოუყენებელ რეზერვებს, სახავენ ღონისძიებებს მეცხვარეობის, ისევე როგორც საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

სიტყვა ეძლევა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. **ნ. მამაიაშვილს.** იგი ეხება საძოვრებზე ცხვრის ორგანიზებული გარეკვის საკითხებს. მეცხვარეები, ამბობს იგი, დიდ სიძნელეებს აწყდებიან საძოვრებზე ფარების გარეკვის დროს იმის გამო, რომ ტრასები კეთილმოწყობილი არ არის. წინათ გადარეკვის გზებზე გამოყოფილი იყო დასასვენებელი ადგილები, მაგრამ ისინი რატომღაც გადახნეს. ახლა ცხვარი მოკლებულია იმის საშუალებას, რომ შეისვენოს გზაში, რაც განსაკუთრებით ცუდ გავლენას ახდენს ცხოველის ჯანმრთელობაზე. ახლა ვაპირებთ მოვაწყოთ საადრეო დოლი. რა უნდა ვუყოთ ბატკნებს, თუ ცხვარი გზაში დადოლდა?

ამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ზოგიერთ მთიან რაიონში ცხვარი სპეციალურად მოწყობილი ავტომანქანებით გადაჰყავთ. ჩვენს კოლმეურნეობაში 38 ათასი სული ცხვარია, ავტომანქანები კი არ გვყოფნის. ასეთსავე მდგომარეობაშია ბევრი სხვა მეცხვარეობის კოლმეურნეობა. ეს ერთხელ კიდევ აყენებს საკითხს, რომ საჭიროა წესრიგზე მოვიყვანოთ ცხვრის გადასარეკი ტრასები.

ამხ. მამაიაშვილმა აგრეთვე თქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა. ჩვენი კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკთა აზრით, ამბობს იგი, უნდა გვყავდეს როგორც თუშური, ისე ნაზმატყლიანი ცხვარი. საქმის წარმატებას ცხოველთა კარგი მოვლა წყვეტს. თუ ცხოველს უხვად აკვებავთ, კარგად მოვუვლით, მეცხვარეობა ყოველი მეურნეობისათვის ხელსაყრელი და რენტაბელური გახდება. ამის მაგალითია ჩვენი კოლმეურნეობა. შარშან მისმა ფულადმა შემოსავალმა 12 მილიონ მანეთს გადააჭარბა, აქედან მეცხვარეობისაგან მიღებულია 4 მილიონ 374 ათასი მანეთი.

წელს ჩვენ დავგეგმეთ მეცხვარეობისაგან მიგვეღო 5 მილიონ 620 ათასი მანეთი. გათვალისწინებულია სახელმწიფოს მივყიდოთ 4.535 ცენტნერი ცხვრის ხორცი— ესე იგი ხორცის დამზადების საერთო რაოდენობის 54 პროცენტი.

ვზრუნავთ რა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, ამ ბოლო დროს ჩვენ მნიშვნელოვნად გავადიდეთ ცხვრის საკვები რაკონი. უკვე 2-3 წელია ცხვრებს ვაძლევთ მაწიერ წვნიან საკვებს. წელს ჩვენ დავამზადებთ 2.500 ტონა სილოსს ცხვრებისათვის. სილოსსაცავები შენდება ფარეხების უშუალო სიახლოვეს. ეს თავიდან აგვაცილებს სილოსის გამშრობასა და გაფუჭებას მისი გადაზიდვის დროს.

ჩვენს რაიონში, ამბობს საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის მდივანი ამხ. **ზ. უზუნაშვილი,** დიდი ყურადღება ექცევა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობის გულდასმით შერჩევას. უკვე 10 წელია ვაწარმოებთ რამბულიეს ჯიშის ცხვრის მეტიზაციას, რომელსაც უკეთესი ხარისხის მატყლი აქვს და გამოირჩევა პროდუქტიულობით და კარგი გამძლეობით. საუცხოოდ შეეგუა ამ ჯიშის მეტისები კავკასიონის მთავარი ქედის საზაფხულო საძოვრებს. ახლა ვფიქრობთ რამბულიეს მეტისებთან ერთად რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში განვავითაროთ თუშური ცხვარიც.

ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საკმაო რაოდენობით არის საკვები. ჩვენ გვგონია, არ უნდა დავეყრდნოთ მარტო საძოვარს, როგორც ბევრი მეცხვარე ფიქრობს. უნდა ვთესოთ სხვადასხვა ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, საფურაჟე მოცელეული, სასილოსე კულტურები და სხვ., რათა შესაძლებლობა გვქონდეს დავამზადოთ მაწიერი და მრავალფეროვანი საკვები.

ჩვენი რაიონის მეცხვარეებმა, ამბობს შემდეგ ამხ. უზუნაშვილი, გადაწყვიტეს ფართოდ გამოიყენონ ცხობილი სტავროპოლელი მწყემსის, სოციალისტური შრომის გმირის ივანე მალაშენკოს გამოცდილება, რომელიც შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ცხვრის შემჭიდროებული დოლის დანერგვაში. ჩვენ ვსწავლობთ აგრეთვე სიღნაღის რაიონის მეცხვარეთა გამოცდილებას საადრეო დოლის განხორციელებაში.

თათბირზე ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა ჯიშის ცხვარი უნდა განვითარდეს უპირატესად. მეცხვარეთა უმრავლესობას ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია თუშური ჯიშის ცხვრის გამრავლება. იგი გამოირჩევა გამძლეობით, კარგი ნამატით და მატყლით. ჩვენი აზრით, მეცხვარეობის ყოველმა რაიონმა უნდა განავითაროს იმ ჯიშის ცხვარი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ადგილობრივ პირობებს.

ახლა ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე გაშალეს მზადება ცხვრის გამოზამთრებისათვის. გამოყოფილია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც არემონტებენ ძველ ფარეხებსა და მწყემსთა სადგომებს და აშენებენ ახლებს, ამზადებენ საკვებს. საზამთრო საძოვრებისათვის თივას მნიშვნელოვანი რაოდენობით ვამზადებთ ადგილზევე.

ლენინგორის რაიონის მეცხვარეთა მუშაობაზე ილაპარაკა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ტ. ტოგიევმა.** ამ მაღალმთიანი რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობა მისდევს მეცხვარეობას, რომელიც მათი ფულადი შემოსავლის 40 პროცენტზე მეტს იძლევა.

ჩვენი კოლმეურნეობების ცხვრის ფარებში, ამბობს ორატორი, 81 ათასი სულია. ახლა ცხვარი საზაფხულო საძოვრებზეა. კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ მეცხვარეთათვის საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, მათ შორის ფართო საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაწევას.

შემდეგ სიტყვას ამბობს სამგორის რაიონის სოფელ ქესალოს გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მ. ხიალოვი.**

ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა მან, — მრავალდარგოვანი მეურნეობაა. მრავალი წლის გამოცდილებით დავრწმუნდით მეცხვარეობის განვითარების რენტაბელობაში. სახელმწიფოსათვის ხორცის დამზადების გეგმებს ძირითადად ვასრულებთ ცხვრის ხორცით. იგი ჩვენ იაფი გვიჯდება. მეცხვარეობა ჩვენი კოლმეურნეების საყვარელი საქმეა. 70 მწყემში გულმოდგინედ, საქმის ცოდნით უვლის 12 ათას ცხვარს. მწყემსებისაგან ხშირად გაიგებთ საჩივარს, რომ აკლიათ საძოვრები.

ამ თათბირმა უნდა გადაჭრას მთელი რიგი საკითხები. მეცხვარეობის კოლმეურნეობებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს. თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა, ჩვენ შეგვძლებთ ერთიორად და ერთიფსადად გავადიდოთ ცხვრის სულადობა, მეტი ვაწარმოოთ ხორცი და მატყლი.

საძოვრების რაციონალური გამოყენების საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ვ. კობახიძე.** მან აღნიშნა, რომ მთელი რიგი საძოვრები, როგორც მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრები, მთლიანად არ არის დატვირთული. იქ თავისუფლად შეიძლება დავამატოთ კიდევ 170 ათასამდე სული ცხვარი. ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე ცხვართან ერთად რაიონები ერეკებიან მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, უმთავრესად ძროხას, უშობელს და სხვ., აგრეთვე ბევრ ცხენს, რაც სრულიად შეუწყნარებელია, რადგან ეს იწვევს საძოვრების გაუარესებას. ამიტომ უნდა შეწყდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გადარეკვა, ხოლო ცხენები იმდენი უნდა იყოლიონ, რამდენიც საჭიროა მეცხვარეობის ფერმების ომმსახურებისათვის. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების გაუმჯობესების, მათი პროდუქტიულობის გადიდების, მავნე სარეველების მოსპობის, პირუტყვის გადასარეკი ტრასების, საშუალედო საძოვრებისა და გასაჩერებელ-საკვები მოედნების აღდგენის, მთა თუშეთის საძოვრებისაკენ და დუშეთის რაიონის საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალი გზების მოწყობის საკითხს.

ამხ. კობახიძემ დიდი ყურადღება მიაქცია ცხვრის, მეცხვარეობის ჯიშიანობის გაუმჯობესებას საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საადრეო დოლის, როგორც პროგრესული ღონისძიების ფართოდ გამოყენებას, აგრეთვე შრომის ორგანიზაციას მეცხვარეობის ფერმებში. ორატორი განსაკუთრებით შეეხო მზადებას 1960-1961 წლების გამოზამთრებისათვის, ცხვრისათვის თივის, სილოსის დამზადებისა და პირუტყვის სადგომების მშენებლობის ტემპების დაჩქარებას.

დუშელ მეცხვარეთა შესანიშნავ შრომითს საქმეებზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. ბურდულმა.** რაიონის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარებში 107 ათასი სულია. ასობით კოლმეურნე დღედაღამ შრომობს მეცხვარეობის ფერმებში, ამრავლებს ხალხის სიმდიდრეს.

როგორც ცნობილია, შარშანდელი ზამთარი ძალიან მკაცრი და ყინვიანი იყო. მაგრამ მეცხვარეობის ფერმების მუშაკებმა ჩინებულად მოაწყეს გამოზამთრება ასეთ უაღრესად ძნელ პირობებში. საზამთრო საძოვრებზე წინასწარ დამზადებულ იქნა 2 ცენტნერი თივა თვითეულ ცხვარზე და შეზიდულ იქნა დიდძალი კონცენტრირებული საკვები.

დიდი მუშაობა გაიშალა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. ახლა რაიონში მუშაობს ხელოვნური დათესვლის 38 პუნქტი. ამ საქმეს ხელმძღვანელობს 50 სპეციალისტი. ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება ზრდის მატყლის გამოსავლიანობასა და ხარისხს. უკანასკნელ ათ წელიწადში მატყლის გამოსავლიანობა ყოველ ცხვარზე გაიზარდა 1,5-ჯერ. სოფლების მადროსკარის, ჩარგალისა და მაქართის კოლმეურნეობები ხალისით ამრავლებენ თუშურ ცხვარს. დანარჩენი კოლმეურნეობები ამჯობინებენ ნახევრადნაზმატყლიან ცხვარს.

ხევსურეთის ზონაში დიდძალი საზაფხულო საძოვრები გვაქვს, მაგრამ ისინი ნაკლებად არის გამოყენებული. ეს აიხსნება გზების უქონლობით. გზები რომ იყოს, შესაძლებელი იქნებოდა ფართოდ გამოგვეყენებინა მდიდარი საძოვრები, ამ საძოვრებზე ზაფხულში გაგვერეკა 200 ათას სულზე მეტი ცხვარი.

ორატორი აკრიტიკებს მეცხოველეობის მეცნიერ-სპეციალისტებს, რომლებიც ცოტას ზრუნავენ მეცხვარეობის განვითარებისა და მისი უკეთ წარმოების ხერხების შემუშავებისათვის. მათ იშვიათად შეხვდებით კოლმეურნეობებში, საძოვრებზე მეცხვარეებთან. როგორც ცნობილია, წალკის რაიონი მაღალმთიანი რაიონია, აქ ცივი ჰავაა, — თქვა თავის სიტყვაში სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის თავმჯდომარე ამხ. **ს. სიმონიანმა.** — მიუხედავად ამისა, რაიონში მეცხვარეობის ფართოდ განვითარების პირობებია. ახლა კოლმეურნეობებში ჰყავთ 40 ათასი სული ცხვარი. ცუდად როდია დაყენებული ნამატის შენარჩუნების საქმე, იზრდება ცხვრის პროდუქტიულობა. მაგრამ ჩვენ გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, რომ საკმაო რაოდენობით გვქონდეს საძოვრები.

საქართველოს მეცხვარეობაში, — თქვა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ ამხ. **ა. ბალაშვილმა,** — უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მხრივ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა ვიყოლიოთ უმთავრესად ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ თუშური ცხვარი. სამწუხაროდ, თავიდანვე სწორად ვერ გავერკვიეთ სხვადასხვა ჯიშის გამრავლების მიზანშეწონილობაში. ბევრმა ჯიშმა ვერ აიტანა ადგილობრივი პირობები. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მეცხვარეობის დარაიონებულ ჯიშობრიობას. ჩვენმა სელექციონერებმა უფრო ენერგიულად უნდა იმუშაონ ახალი ჯიშების გამოყვანასა და მათ შენარჩუნებაზე.

უნდა შეეხო ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხს — ცხვრის წველას. ჩემი აზრით, სწორი არ არის, როცა ცხვარს ორი-სამი თვის განმავლობაში წველიან. ეს ცუდ გავლენას ახდენს მეცხვარეობის განვითარებაზე. წველის ხანგრძლივობა ერთ თვემდე უნდა შემცირდეს.

ორატორმა აღნიშნა, რომ 1956 წელს კოლმეურნეობაში პირველად შემოიყვანეს რამბულიეს ჯიშის ყოჩები. ერთი შეხედვით ისინი არ მოეწონათ მეცხვარეებს. მაგრამ თუშურ ცხვართან მათი შეჯვარების გზით დადებითი შედეგები მივიღეთ როგორც მატყლის გამოსავლიანობის მატების მხრივ, ისე წველადობისა და ხორცის წარმოების გადიდების მხრივ. ამრიგად დადასტურდა, რომ ჩვენს პირობებში ნაპარსის, წველადობისა და ხორცის წარმოების თვალსაზრისით ყველაზე მიზანშეწონილია განვავითაროთ ნახევრადნაზმატყლიანი, აგრეთვე ნაზმატყლიანი ცხვარი.

ჩვენს კოლმეურნეებს მეცხვარეობა საპატიო საქმედ მიაჩნიათ. მეცხვარეობას მისდევენ კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანები. თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით მოგვეწესრიგებინა მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობები. ცოტას ვაშენებთ მათთვის საცხოვრებელ სახლებს. ჩვენი აზრით, მთაში უნდა მივიტანოთ სტანდარტული სახლები.

შემდეგ ამხ. ბალაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა გამოიყოს და მოეწყოს შუალედი საძოვრები. ამ მიზნით შირაქის ველზე უნდა დაითესოს მრავალწლიანი ბალახები მეცხვარეობის საკვები ბაზის უზრუნველსაყოფად.

პროფესორმა **ა. ნატროშვილმა** თათბირზე ილაპარაკა ცხვრის ჯიშებზე, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში, მათს თვისებებსა და უპირატესობაზე ამა თუ იმ რაიონში გასამრავლებლად.

საქართველოს რაიონებში გავრცელებულია ნაზმატყლიანი, ნახევრადნაზმატყლიანი, ნახევრადუხეშმატყლიანი და უხეშმატყლიანი ცხვარი. მიზანშეწონილად ჩიმაჩნია უპირატესობა მიეცეს ნაზმატყლიან და ნახევრადნაზმატყლიან ცხვარს. მაგრამ უნდა გავამრავლოთ თუშური ცხვარიც, რომლის მატყლი ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოში თითქმის საკმაო რაოდენობით არის საზაფხულო საძოვრები, — ამბობს შემდეგ პროფესორი ნატროშვილი, — მაგრამ ზოგიერთ ადგილას ისინი გამოუყენებელია, რადგან პირუტყვი ვერ მიგვაყავს უგზოობის გამო. ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული საძოვრები.

ზოგიერთ საძოვარზე ბალახის თიბვის შედეგად ნიადაგი ირეცხება და საძოვრები თითქმის უვარგისი ხდება. ჩვენი საზაფხულო საძოვრების 30 პროცენტი უვარგისია იმის გამო, რომ იქ იზრდება შხამა ბალახი. თუ ეს ბალახი არ მოვსპეთ, საძოვრები კიდევ უფრო გაფუჭდება.

საძოვრების რაციონალურად გამოყენება საშუალებას მოგვცემს საქართველოში ცხვრის სულადობა ავიყვანოთ ორ მილიონზე მეტ სულამდე. საჭიროდ მიმაჩნია კვლავ დავუბრუნდე საადრეო დოლის საკითხს. 1952 წელს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში ასეთი ცდები წარმოებდა ორ ფარაზე. შემდგომ წლებში ეს ცდები გამეორდა. მიღებულია კარგი შედეგები. საადრეო დოლის ბატკნები წელიწადში ორჯერ იპარსება. ეს პროგრესული მეთოდი ფართოდ უნდა დავნერგოთ. ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს ცხვრის წველის მიზანშეწონილობის საკითხი, რადგან მეცხვარეობაში მთავარია ხორცისა და მატყლის მიღება.

ჩვენი არტელის ეკონომიკაში, — თქვა საგარეჯოს რაიონის დაბა საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარემ ამხ. **გ. დუჩიძემ,** — მეცხვარეობას დიდი ადგილი უჭირავს. ცხვრის სულადობის ზრდის, მისი პროდუქტიულობის გადიდების საკითხები არტელის გამგეობის, მეცხოველეთა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნამატის შენარჩუნებას. შარშან ჩვენს კოლმეურნეობაში 6 ათასი სული ცხვარი იყო, ახლა კი მათი რაოდენობა 10 ათასამდე ავიდა. წინათ ნამატის შენარჩუნების პროცენტი დაბალი იყო, შარშან კი ნამატი თითქმის მთლიანად იქნა შენარჩუნებული. მიღებულია მატყლის კარგი გამოსავლიანობა — 3,3 კილოგრამი თვითეულ ცხვარზე. მიმდინარე წელს გათვალისწინებული გვაქვს თვითეულ ცხვარზე მივიღოთ 4 კილოგრამი მატყლი.

კოლმეურნეობაში წარმატებით ინერგება საადრეო დოლის მეთოდი, ჩვენ უკვე განვახორციელეთ ხელოვნური დათესვლა და ყოველ 100 ნერგზე მივიღეთ 135 ბატკანი.

ჩვენი რაიონის პირობებში, — განაცხადა საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის მდივანმა ამხ. **ა. შადურმა,** — გასამრავლებლად ყველაზე საუკეთესოა თუშური ცხვარი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რაიონების კოლმეურნეობები, რომლებსაც მსგავსი პირობები აქვთ, გვთხოვენ თუშურ ცხვარს. უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ ამ ჯიშის გაუმჯობესებაზე.

არც ჩვენში არის მოწესრიგებული ტრასების საკითხი. პატარა-პატარა ტრასები, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე გვქონდა, მთლიანად გადახნულია. მე მიმაჩნია, რომ საჭიროა ვიფიქროთ ცხვრის გადაყვანის სისტემის გაუმჯობესებაზე, რამდენადაც შარშან, მაგალითად, ეს გადაყვანა ძვირი დაჯდა.

თათბირზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მოწინავეთა გამოცდილებას ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარების საქმეში.

ბევრმა მეცხვარემ კარგად აითვისა გაუმჯობესებული ცხვრის მოვლა-პატრონობის წესები სამომთაბარეო მეცხვარეობის პირობებში. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ნერგების მოვლა-პატრონობასა და ყოჩების შერჩევას, დაგრილების დაწყებამდე არჩევენ საუკეთესო საძოვარ ნაკვეთებს ნერგებისათვის, აძლევენ მათ მაწიერ საკვებს. ხელოვნური განაყოფიერების პუნქტებში დაგრილება ხორციელდება ჯიშიანი ყოჩებით, რომლებიც გამოცდილი არიან მაღალი პროდუქტიულობისა და ნამატის მხრივ.

ყოჩების შერჩევისას სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათს ცოცხალ წონას, მატყლის სიხშირესა და ხარისხს.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დოლის ორგანიზებულ განხორციელებას და ნამატის მაქსიმალურ შენარჩუნებასა და გაზრდას, ცხვრის დანაკლისის პროცენტების შემცირებასა და მისი პროდუქტიულობის გადიდებას.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** სიტყვა. ჩვენს თათბირზე, თქვა მან, გაიმართა დიდი საქმიანი საუბარი მეცხვარეობის — საზოგადოებრივი მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების შესახებ. მეცხვარეობის აღმავლობისათვის ზრუნვა შემადგენელი ნაწილია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლისა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

თათბირზე წამოყენებულ იქნა ბევრი მომწიფებული საჭირბოროტო საკითხი. ბევრს აინტერესებს საკითხი, თუ რომელ ჯიშს უნდა მიეცეს უპირატესობა საქართველოს პირობებში. ამავე დროს მთელ რიგ რაიონებში მიაჩნიათ, რომ საჭიროა უმთავრესად განვითარდეს თუშური ცხვარი. მართლაც საჭიროა ამ ჯიშის განვითარება, მაგრამ სწორი არ იქნება უპირატესობა მიეცეს მარტო თუშურ ცხვარს. იმ რაიონებში, სადაც მიაჩნიათ, რომ მოცემული კონკრეტული პირობებისათვის უფრო რაციონალურია იყოლიონ თუშური ცხვარი — ასეც უნდა მოიქცნენ. ამ მიზნით საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მისი გავრცელების რაიონები. საჭიროა კვლავაც განვაგრძოთ მუშაობა თუშური ცხვრის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გავზადოთ იგი უფრო პროდუქტიული.

მაგრამ სწორი არ იქნება შევაესუსტოთ ყურადღება ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის ფართო გავრცელებისათვის. ზოგიერთ რაიონში ამ ჯიშებს ჯეროვნად როდი აფასებენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ცხვარს კარგად არ უვლიან, და ამიტომაც ვერ იღებენ სასურველ შედეგს. ყიზლარის საძოვრებზე ყოფნის დროს, მეცხვარეებთან საუბრისას მე გამოვარკვიე, რომ ისინი თავს არიდებენ რამბულიეს ჯიშის ცხვარს, რადგანაც იგი ვერ იტანს უამინდობას, მოითხოვს უფრო გულისხმიერ მოვლა-პატრონობას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქმეში, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეში. ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს. საჭიროა უფრო მეტად ვიზრუნოთ მეცხვარეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. რა კარგიც უნდა იყოს ჯიში, იგი ვერაფერს ვერ მოგვცემს, თუ არ შეიქმნება შესაბამისი პირობები, თუ საკმაო რაოდენობით არ იქნება საკვები.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე შეეხო საძოვრების გაუმჯობესებისა და მათი წესიერი გამოყენების საკითხებს. ცნობილია, რომ ზოგიერთ საძოვარზე მეტად გავრცელებულია საბალახეები. თუმცა ასეთი ბალახის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს: ზოგს ისინი შხამიან ბალახად მიაჩნია, ზოგს კი პირიქით, მაგრამ ერთი ნათელია, რომ შხამა სარეველაა და იგი უნდა მოისპოს. ეს უახლოეს წლებში უნდა განახორციელოთ.

ჩვენ კარგი საძოვრები გვაქვს ყიზლარში. ისინი უნდა შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიური მუშაობის მეოხებით. წარსულ წლებთან შედარებით ახლა ყიზლარის საძოვრებზე უკეთესი მდგომარეობაა. აშენდა საცხოვრებელი სახლები, ფარეხები და სხვა სადგომები. სახლების მახლობლად დათესილია სიმინდი, ხახვი, კომბოსტო, მაგრამ ყველა კოლმეურნეობა როდი მოიქცა ასე. ყველგან რომ ზრუნავდნენ ამისათვის, მაშინ მწყემსები ზამთარში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდნენ. ცხვარი კი მიიღებდა მეტ საკვებს.

მწყემსები, ჭეშმარიტად გმირული, მამაცური შრომის ადამიანები, პატივისცემის ღირსნი არიან. ყოველგვარ ამინდში ისინი მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დოვლათის გამდიდრებაზე ზრუნავენ. ამ ადამიანთა მეცადინეობა ჯეროვნად უნდა დაფასდეს. მათ უნდა შეუქმნათ ყოველგვარი პირობა ნაყოფიერი და ნორმალური მუშაობისათვის.

თავის გამოსვლაში ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ დიდი ყურადღება დაუთმო ტრასების კეთილმოწყობის საკითხებს. მთელ რიგ უბნებზე აღდგენილ უნდა იქნას ტრასები. საჭიროა მათი გაუმჯობესება და კეთილმოწყობა. პარტიის რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სერიოზულად უნდა გაერკვნენ ამ საქმეში, მოაწესრიგონ იგი.

მეცხვარეობის შემდგომი განვითარების მიზნით გარკვეულ მუშაობას აწარმოებენ მეცნიერები. მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, მათ ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს. საჭიროა კიდევ უფრო მეტად განმტკიცდეს მეცნიერების მოღვაწეთა და პრაქტიკოსთა შემოქმედებითი კავშირი. მეცნიერებმა ხელი უნდა შეუწყონ ახლის, პროგრესულის დანერგვას. ავიღოთ თუნდაც საადრეო დოლი. ეს მეტად სასარგებლო და დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენში ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ იგი ფართოდ დაინერგოს, მიღწეულ იქნას უფრო მნიშვნელოვანი შედეგები. საინტერესოა აგრეთვე შემჭიდროებული დოლი. ჩვენმა მეცნიერებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა სწორედ ამ საკითხებს უნდა მიაქცინონ განსაკუთრებული ყურადღება.

ისმება კოლმეურნეობებში ცხვრის სულადობის შემდგომი ზრდის საკითხი. საჭიროა შევისწავლოთ, თუ რა შესაძლებლობანი და რეზერვებია ჩვენში ამ მხრივ თვით

ახალგაზრდობა — მვიდღლედს!

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი

მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა, რომელიც 2-3 აგვისტოს მიმდინარეობდა. პლენუმმა მიიღო დადგენილებანი: „კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით „მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის თაობაზე სკკპ XXI ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და „ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციაში კომკავშირის ამოცანების შესახებ“.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა კომკავშირული ორგანიზაციები, მონაწილეობას იღებენ რა საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის მეცადინეობას ახმარენ შვიდწლედის ამოცანების შესრულებას, სამეურნეო მშენებლობის პირველი რიგის ამოცანების გადაჭრას.

ფართო გაქანება ეძლევა ახალგაზრდობის შეჯიბრებას კომუნისტური შრომის კოლექტივთა და დამკვრელთა წოდებისათვის. 3,5 მილიონზე მეტმა ახალგაზრდა პატრიოტმა გადაკარბებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები. ტექნიკის სრულყოფას, წარმოების შინაგანი რეზერვების გამონახვასა და გამოყენებას ხმარდება 650 ათასი ახალგაზრდა რაციონალიზატორისა და გამომგონებლის შემოქმედებითი შრომა.

114 სრულიად საკავშირო დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობაზე ერთნახევარი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 82 დიდი სამრეწველო ობიექტი. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ხუთი ბრძმედი, თერმეტი ფოლადსადნობი სამყრო, ჩვიდმეტი საგლინავი საამქრო და დგანი, ხელოვნური ბოჭკოს ხუთი საწარმო, ათგო 2.300-ზე მეტი კილომეტრი ელექტროფიცირებულ იქნა 2.500-მდე კილომეტრი რკინიგზის ხაზები. სრულიად საკავშირო ალკკ საშეფო ოთხ ცემენტის ქარხანაში აგებულია ახალი ძლევარი აგრეგატები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადწყვეტილებებმა, რომლებიც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ახალგაზრდობამ, ახალგაზრდა შრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მხურვალედ, მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის რეზოლუციას კომენსიტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუქარესტის თათბირის შედეგების შესახებ, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის გამტკიცების საქმეში, მშვიდობისა, განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის საქმეში.

კომუნისტური პარტიის, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის უდიდესი ბრუნვა მოზარდი თაობისათვის, დიდი ნდობა, რასაც კომკავშირს უწევენ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში, ახალგაზრდობას აღაფრთოვანებს ახალი შრომითი სგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის სასახელოდ.

მოისმინა რა უკრაინის ალკკ ხარკოვის სოლქო კომიტეტის მოხსენება „ხარკოვის ოლქის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში“, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ხარკოვის კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურად ეხმარება ოლქის პარტიულ ორგანიზაციას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ოლქის კომკავშირული ორგანიზაციები წარმატებით უწევენ შეფობას ახალი ტექნიკის შექმნას, ჩარხებისა და მექანიზმების მოდერნიზაციას, ღირსეული წვლილი შეაქვთ შვიდწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა აგებაში. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა ამას, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობაში. კომკავშირული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ახალგაზრდა რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

შვიდწლედის ერთნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის დამკვრელურ მშენებლობებზე კომკავშირთა საგზურებით გაიგზავნა 300 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. კომკავშირულ მშენებლობებზე ფართოდ გაჩაღდა ახალგაზრდათა კოლექტივების საბრძოლო შეჯიბრება სამშენებლო სამუშაოთა ვადების შემცირებისათვის, მათი საუკეთესო ხარისხისათვის, ღირებულების შემცირებისათვის. ბევრი კომკავშირული მშენებლობა არსებითად ხდება მოწინავე გამოცდილების ლაბორატორია, სადაც ამოწმებენ და ცდიან სამრეწველო მშენებლობის უახლეს მიღწევებს, ფართოდ იყენებენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა პროგრესულ მეთოდებს.

პლენუმმა დაავალა კომკავშირის კომიტეტებს უზრუნველყონ დამკვრელი კომკავშირული მშენებლობებისადმი საბრძოლო შეფობის შემდგომი გაუმჯობესება. საჭიროა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მობილიზაცია იმისათვის, რომ 1960-1961 წლებში სრულიად საკავშირო დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებზე ვადამდე აამუშაონ სიმძლავრენი, რომლებიც აწარმოებენ: 40 მილიონ ტონა რკინის მადანს, 7 მილიონ ტონა ნაგლინს, ათი ათასობით ტონა ხელოვნურ ბოჭკოს, 2,3 მილიონ ცალ სალტეს, 715 ათას ტონა მინერალურ სასუქს; იმისათვის, რომ 1960-1961 წლებში ვადამდე დაამთავრონ 2.500 კილომეტრი ნავთობსადენთა და გაზსადენთა, 3 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ენერგეტიკული ობიექტების, 3.600 კილომეტრი რკინიგზების აგების სამუშაოები; დაამთავრონ 1960-61 წლებში 4 ათასი კილომეტრი რკინიგზების ელექტროფიკაცია, მათ შორის 1960 წელს დაამთავრონ მოსკოვ-ირკუტსკის რკინიგზის მაგისტრალის ელექტროფიკაციის სამუშაოები.

ბრძოლა 7 მილიონი ტონა ცემენტის წარმოების ახალ სიმძლავრეთა მშენებლობის ვადამდე დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, ნათქვამია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, კომკავშირის საბრძოლო საქმეა. კომკავშირულ ორგანიზაციებს ევალებათ კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღონ ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრება ცემენტის ქარხნების მშენებლობაზე, მიაღწიონ მშენებლობების დროულად უზრუნველყოფას მასალებით, მოწყობილობით, გააძლიერონ ბრძოლა მოქმედ სიმძლავრეებზე ცემენტის წარმოების გადიდებისათვის, იბრძოლონ ტექნოლოგიური რეჟიმის უმკაცრესად დაცვისათვის, გამონახონ და ყოველი ღონისძიებით გამოიყენონ ცემენტის გამოშვების ზრდის ყველა რეზერვი.

ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები, აღნიშნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მებრძოლურად ჩაუბნენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის, გამოვიდნენ მთელი რიგი საგულისხმო ინიციატივითა და წამოწყებებით. კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა გააჩაღონ ახალგაზრდა მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ახალგაზრდა მეცნიერთა და მკვლევართა შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მაღალი საწარმოო კულტურისათვის.

პლენუმის დადგენილებაში დიდი ყურადღება ექცევა ტვირთის შეუფერხებლად გადაზიდვისადმი „რკალური კონტროლის“ გავრცელებას, ცოდნისათვის ახალგაზრდობის ლაშქრობის შემდგომ გაშლას, სოციალისტურ შეჯიბრებას.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად, იმისათვის რომ წარმატებით დავრაზმოთ კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიური მონაწილეობის მისაღებად კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, საჭიროა საბრძოლო, მიზანსწრაფული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

პლენუმის დადგენილებაში, რომელიც მიღებულია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო „კომკავშირის ამოცანები ახალგაზრდობის დასვენების მოწყობაში“, აღნიშნულია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო აქტიურად აბამენ ახალგაზრდობას სახალხო-სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პრაქტიკული მონაწილეობის მისაღებად, უფრო კონკრეტულად და შინაარსიანად ეწევიან მუშაობას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პეროდში პარტიის ზრუნვის მეოხებით სულ უფრო კარგი შესაძლებლობა იქმნება ადამიანის ყოველმხრივი სრულყოფისათვის, მისი ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლინებისათვის. ახალგაზრდობის ეროვნული დასვენების მოწყობა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, ხდება კომკავშირისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმე. მთავარი, რისთვისაც უნდა ზრუნავდეს კომკავშირი, არის ისე მოაწყოს ახალგაზრდობის დასვენება, რომ დაეხმაროს მას გადწყვეტოს ძირითადი ამოცანა: ისწავლოს კომუნისტურად ცხოვრება და მუშაობა.

ამავე დროს კომკავშირის აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა ახალგაზრდობის შინაარსიანი, იდეურობით აღსავსე დასვენების მოწყობის დარგშიც ჯერ კიდევ არ შეესაბამება ცხოვრების მოთხოვნებს. კომკავშირის კომიტეტები ყოველთვის როდი ზრუნავენ ახალგაზრდობის მასობრივი დღესასწაულებისა და ფესტივალების პოლიტიკური მიმართულებისათვის, მხატვრული თვითმოქმედების აღმზრდელობითი მნიშვნელობისათვის, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების განმტკიცებისათვის. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებანი არის სოფლის ახალგაზრდობის დასვენების მოწყობაში. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობა თავისი შინაარსით ღარიბი და ერთფეროვანია.

პლენუმმა დაავალა კომკავშირის კომიტეტებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს დაუცხრომლად აამაღლონ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონე. იხელმძღვანელებენ რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ თანამედროვე პირობებში“, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი მუშაობა უნდა მოახმარონ იმას, რომ განუმარტონ ახალგაზრდობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, სოციალიზმის უდიდესი უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით, აღზარდონ ქალიშვილები და ჭაბუკები შრომის მოყვარეთნი, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ჩვენი სამშობლოს თავლსაჩინო მიღწევებისათვის სიამაყის სულისკვეთებით.

სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების თანაარსებობისა და ორ იდეოლოგიას შორის ბრძოლის შემდგომი გაჭიანურების პირობებში კომკავშირის კომიტეტების უპირველესი ამოცანა ქალიშვილთა და ჭაბუკთა იდეური გამოწრთობის შემდგომი გაძლიერება, მათი პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლება. ახალგაზრდობას უნდა განვუვითაროთ კომუნისტური პრინციპიულობა და ერგებლობა ბურუჟაზიული მორალის ყოველგვარი გაძოვლინებისადმი, საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევებისადმი.

საჭიროა ახალგაზრდობაში გავუწიოთ პროპაგანდა მაღალნაყოფიერი შრომის, კულტურის, ცოდნის დაუფლების მაგალითებს — შრომისა და ახლებურად ცხოვრების მთელ გამოცდილებას, რომელიც წარმოიშობა კომუნისტური შრომის კოლექტივებში.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ საქმეში ბელორუსიის, მოსკოვის, ნოვოსიბირსკის ხელოვნების მოღვაწეთა ინიციატივა, რომელნიც არასამუშაო დროს საზოგადოებრივ საწყისებზე აქტიურ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის კულტურის ასამაღლებლად, და მოუწოდა საბჭოთა ინტელიგენციის ფართო ფენებს მიბაძონ მათ შესანიშნავ მაგალითს. კომკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა იმას, რომ საჭიროა უკეთ მოეწყოს სოფლელ ქალიშვილთა და ჭაბუკთა დასვენება, განვითარდეს საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციათა შეფობა სოფლისადმი, მეთოდური და შემოქმედებითი დახმარება გაეწიოს სოფლის კლუბებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, ხელი შეეწყოს სასოფლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების დაროეკტებასა და მშენებლობას.

კომკავშირის კომიტეტები პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და ვაჭრობის დაწესებულებებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ იმაში, რომ მომსახურების პროგრესული ფორმები დაინერგოს მაღაზიების, სასადილოების, კაფეების, რესტორნების მუშაობაში. საჭიროა განხილულ იქნეს ღონისძიებანი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გასაფართოებლად დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებზე, ხე-ტყის მრეწველობაში, რკინიგზებისა და გზატკეცილების, ელექტროგადაცემათა ხაზების მშენებლობაზე, სამმთავარო საძოვრებზე და საველე ბანაკებში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ახალგაზრდობის დასვენების მოწყობა არ შეიძლება მივიჩნიოთ ხანმოკლე კამპანიად. საქმე ეხება თავისუფალ დროს ახალგაზრდობასთან მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით ამაღლებას, იმას, რომ გავაძლიეროთ ყოველი კომკავშირული კოლექტივის გავლენა ახალგაზრდა ადამიანზე.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის კომკავშირელთა, ქალიშვილთა და ჭაბუკთა სახელით მადლობა გადაუხადა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ახალგაზრდობაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. პლენუმმა პირობა მისცა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი კვლავაც თავდადებით ემსახურებიან კომუნიზმის საქმეს, ბეჯითად ისწავლიან კომუნისტურად ცხოვრებასა და მუშაობას.

კვლავ გევრია გასაკეთებელი

მახარაძის № 2 ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წელს ორგანიზებულად დაიწყო ჩაის ფოთლის მიღებადამუშავების სეზონი. გონივრულად ძოწყობილმა შრომამ შესანიშნავი ნაყოფი გამიოღო. საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების მე-2 კვარტალის გეგმა 107,6 პროცენტით შეასრულა. გეგმის დადამტებით გამოშვებულია 663 ათასი მანეთის პროდუქცია.

ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. უმაღლესი ხარისხის ჩაი გამოშვებულია 156 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 127 ტონისა.

მოპოვებული წარმატებები განაპირობა იმან, რომ აქ ცალკეულ საამქროებში განხორციელებულია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. სალონი საამქროს როლერებში ჩაის ფოთლის ჩატვირთვა მექანიზებულად ხდება. წინათ ამ საქმეზე მოუშავე 10-12 კაცი გათავისუფლდა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. მექანიზმებს ახლა მხოლოდ ერთი კვალიფიციური მეშა ემსახურება.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

მაგალითად, ჩაის მიმღებ ცენტრალურ პუნქტში ხშირად გროვდება 40-50 ტონა ნედლეული, მისი ერთბაშად გადატანა სალონს ავრეგატამდე შეუძლებელია, ამიტომ ფოთლის ხარისხი რომ არ გაუარესდეს, საჭიროა იქვე მოეწყოს ჩაის ფოთლის შესანახი კამერები, სიიდანაც რეგულარულად მოხდება ფოთლის მიწოდება სალონ სამქროში. საჭიროა ჩაის დამხარისხებელ მანქანებზე მოეწყოს ნედლეულის მექანიკური მიმწოდებელი. ხორცეულებაში საწარმოს კოლექტივს საქმიანი დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოს ჩაის ტრესტმა.

„კომუნისტის“ საბუშაგო: გ. გოგუაძე — ფაბრიკის დირექტორი, ნ. ლლონტი — მთავარი ტექნოლოგი, დ. ქადეიშვილი — მექანიკოსი, მ. ცხომელიძე — კომკავშირული ცვლის ხელმძღვანელი.

რას იტყვით ამ-ზე?

რედაქციაში შემოვიდა ასეთი შინაარსის წერილი:

„ნორიო სამგორის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია. რამდენი რამ გაკეთდა აქ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. გვაქვს მძლავრი კოლმეურნეობა, რომელიც მთელ რეპუბლიკაშია ცნობილი.

სოფელში შენდება კულტურის სახლი, გაგვაყავს გზები, გვაქვს ელექტროგანათება, რადიო, ეზოები აქეთ-მეთ- მოწყობილია, სოფლის ცენტრში და კოლმეურნეთა ეზოებში ათასობით მარადმწვანე მცენარე დარგო.

ეს ყველაფერი კარგია და ნორიოს მცხოვრებნი განსაკუთრებით ამაყოფილი არიან...

მაგრამ... ვერ იქნა და ასეთ ცნობილ სოფელში სასმელი წყალი ვერ გამოვიყვანეთ. გაცოცხლდა სამგორის საუკუნეობით მკვდარი მიწა, ნორიოში კი კოლმეურნეებს 2-3 კილომეტრ მანძილიდან მოაქვთ სასმელი წყალი.

მონდომებაა საჭირო! — იტყვის კაცი. არა, ცოდვას ვერ ვიტყვი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ავრონომი ა. დანელია ზრუნავს ამ საქმისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ნორიოში წყლის გამოყვანა სოფლის ძალ-ღონეს აღემატება. მილებისა და სხვა საშენი მასალების შოვნა გაჭირდა.

სოფელ ნორიოს მცხოვრებთა სახელით კ. მამნიაშვილი“.

მეორე წერილში ეუუუნა სამნიაშვილი იტყობინება:

„ვისაც სტალინირისაკენ უმგზავრია, უთუოდ შეამჩნევდა სოფელ შინდისს, რომელიც ლიახვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. ეს სოფელი განთქმულია ხილ-ბოსტნეულით, პურეულის უხვი მოსავლით. შინდისელი კოლმეურნეები არაფერს იშურებენ თავიანთი სოფლის კეთილმოწყობისათვის. აქ უკანასკნელ წლებში აშენდა საავადმყოფო, ხილის დამაშზადებელი პუნქტები და სხვა სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა შენობები. მაგრამ ვერ იქნა და წყალი ვერ გამოიყვანეს. მოსახლეობა სასმელად სმარობს უგემურ წყალს“.

„წყლის მოლოდინში ხახა გაგვშრა“, — იწერება გორის რაიონის სოფელ ახალდაბიდან ე. ნაცვლიშვილი. — დიდი ხანია გვპირდებიან, გვაიმედებენ, მაგრამ ზაფხული ზაფხულს მისდევს და სასმელი წყალი კი სოფელს არა აქვს“.

ყოველ სოფელს ანკარა წყაროს წყალი

ასეთი კორესპონდენციები ბევრი შემოდის. სასმელი წყალი არა გვაქვსო, — იწერებიან რუსთავიდან, წყნეთიდან, კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურიდან, დაბა მარნეულიდან, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარიდან, ახმეტის რაიონის სოფელ ბაყილოვანიდან, სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშიდან, გორის რაიონის სოფელ ახალდაბიდან, ჭიათურის რაიონის სოფელ რგანიდან.

წყალი!

ეს ხომ ადამიანისათვის პირველი მოთხოვნილების საგანია. იმაზე, თუ როგორ წყალს სვამს მოსახლეობა, დამოკიდებულია ადამიანთა ჯანმრთელობა.

ოდითვე სოფლები და ქალაქები მდინარის წყაროს ახლოს შენდებოდა. უამრავი თქმულება და ზღაპარი მეუძღინა ხალხს წყაროს წყალზე, მის მაცოცხლებელ ძალაზე.

მაშინ ბუნებასთან ბრძოლაში ადამიანი უძლური იყო. ახლა ყველა საშუალებაა იმისათვის, რომ ანკარა წყაროს წყალი მოჩუხჩუხებდეს სოფლებსა და ქალაქებში. საბჭოთა სახელმწიფო მშრომელთა ამ კეთილდღეობისათვის არაფერს არ იშურებს.

მაგრამ ზოგჯერ ადგილებზე ინიციატივას არ იჩენენ, ბოლომდე ვერ მიპაყავთ დაწყებული საქმე.

ხშირად ასეც ხდება. სოფელში არაფერს ზოგავენ იმისათვის, რომ აშენონ კულტურის უზარმაზარი სასახლე, სტადიონი, კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციული სახლი, თავმჯდომარის ვეებერთელა კაბინეტითა და მისაღები ოთახებით... ეს თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ დიდი მშენებლობებით გატაცებულებს ავიწყდებათ ის, რაც პირველ რიგშია გასაკეთებელი — სოფელში სასმელი წყლის გამოყვანა, სკოლისათვის შენობის აგება, სასოფლო გზის გაყვანა და შეკეთება.

უმართებულო იქნება ყველაფერში სოფელი და მისი ხელმძღვანელები გავამტყუნონ. ეტყობა, წყლის გაყვანის დროს არის ისეთი სიძნელეც (მილების შეძენა, საშენ მასალათა მომარაგება), რომლის დაძლევა მარტო სოფელს, კოლმეურნეებს, სასოფლო საბჭოს არ შეუძლიათ. აქ რაიონების ხელმძღვანელებმა უნდა გამოიჩინონ მეტი ყურადღება, მეტი დახმარება სოფლების კეთილმოწყობისათვის, მათი საშენი მასალებით უზრუნველყოფისათვის.

საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ შეიძლებოდეს კარგი სასმელი წყლის მიყვანა, მხოლოდ საჭიროა თანხლობა, მონდომება, სახალხო საქმის სიყვარული.

შესაძლებელია და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სოფელს ჰქონდეს ანკარა წყაროს წყალი.

ᲛᲝᲕᲐᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

იზრდება და ლამაზდება ჩვენი ინდუსტრიული ქალაქი რუსთავი. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის გვერდით მუშაობენ აზოტოვანი სასუქების ქიმიური და ცემენტის ქარხნები, სადაც ათასობით ადამიანი შრომობს. მალე მწყობრში ჩადგებიან კაროლაქტაძის, თაბაშირის ქარხნები და სხვა საწარმოები.

ამ პატარა წერილში მინდა შეეეხო რუსთავის მზარდი მრეწველობის საანგარიშო და საფინანსო დარგის მუშაკებით უზრუნველყოფის საკითხს. სწორად დაყენებულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეურნეობის საქმიანობის ანალიზის, რეზერვების გამოვლინებისა და სწორი პერსპექტიული გეგმების დასახვის საქმეში.

რა მდგომარეობა გვაქვს რუსთავში, კერძოდ ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგშენის“ სისტემაში საანგარიშო და საფინანსო მუშაკების მხრივ? საკმაოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. საპენსიო ასაკის მოახლოებასთან დაკავშირებით ტრესტის სისტემიდან უნდა წაიდეს ბევრი მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მთავარი და რიგითი ბუხჰალტერი, მაგრამ მათი შემცვლელები ადგილზე არა გვყავს;

იმ ახალი საწარმოებისათვის, რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს უახლოესი წლების განმავლობაში, საჭირო იქნება 100 კაცამდე ბუხჰალტერი და საფინანსო დარგის მუშაკი. საიდან მოვიყვანოთ ისინი? სხვა რაიონებიდან გამოვიწვიროთ?

საჭიროა რესპუბლიკის საანგარიშო დარგის მუშაკების მომზადების სამმართველომ რუსთავში დაუყოვნებლივ გახსნას ფილიალი ქართულ ენაზე.

ნ. სადრაძე,
სამშენებლო სამმართველოს „მეტალურგშენის“ მთავარი ბუხჰალტერი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

მოტყუებისათვის პასუხისგებაში

საკონსერვო ქარხნის დამამზადებლები ხილის ჩაბარების დროს ატყუებენ მშრომელებს, იაფად იძენენ ხარისხოვან ხილს, ხოლო სახელმწიფოს მაღალ ფასებში აძლევენ. ასეთ და სხვა დარღვევათა შესახებ ბოლნისის რაიონიდან გვწერდა მოქ. ი. რეხვიაშვილი. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ბოლნისის რაიკომს, რომელიც რედაქციას ატყობინებს:

საკითხი მოქ. ი. რეხვიაშვილის განცხადებაში დასახელებულ ნაკლოვანებათა შესახებ, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის საკონსერვო საამქროს მუშაობას, განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ. ბიურომ აღნიშნა, რომ 1950 წლის სეზონში საკონსერვო საამქროში ადგილი ჰქონდა ფასების დარღვევებს ინდივიდუალური ჩამბარებლებისაგან ხილის შესყიდვის საქმეში. ამ საამქროს ყოფილი დამამზადებელი ვ. ასათიანი დროულად არ აფორმებდა დოკუმენტებს შესყიდულ ხილზე. კერძოდ, მოქ. რეხვიაშვილისაგან შესყიდული 520 კილოგრამი ქლიავი არ გაატარა შემოსავალში და გაუფორმებლად გაუხწორა ანგარიში. ამასთან ბიურომ აღნიშნა, რომ კომბინატის დირექტორი მ. გასანელი და მთავარი ბუხჰალტერი ზ. ზარგაროვი სათანადო კონტროლს არ უწევდნენ საკონსერვო საამქროში აღრიცხვის საქმეს.

მასალები გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

რაიკომის ბიურომ დახახა ღონისძიებანი საკონსერვო საამქროს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

რატომ მოხდა ასე?

ბარისახოში (დუშეთის რაიონი) 25 წლის წინათ აშენდა საავადმყოფო. საავადმყოფოსთან არსებობდა სამშობიარო განყოფილება, აქვე იყო აფთიაქი.

ამ სამეოდე წლის წინათ აფთიაქი რატომღაც სხვაგან გადაიტანეს. მას შემდეგ უკანაფშავთა და ხევსურეთის მოსახლეობას წამლებზე სიარული უხდებათ რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. თვითონ საავადმყოფოს მთელი ნახევარი წლის მანძილზე არცერთ ექიმი არა ყოფილა და ავადმყოფები რაიონულ ცენტრსა და სხვა საექიმო უბნებში მიჰყავთ.

საინტერესოა, რატომ მოხდა ასე?

ვ. ხორნაული,
სოფლკორი.

შემდეგ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲚᲝᲕᲡᲙᲘ (ლუგანსკის ოლქი), 3 აგვისტო. (საკდესი). ეს მოხდა ვოროშილოვსკის მეტალურგიულ ქარხანაში. ერთ-ერთ ბრძმედში თუჯის გამოშვების შემდეგ მოულოდნელად მკვეთრად შემცირდა გაზის წნევა. ამის გამო განგაში ატეხეს საკონტროლო-საზომმა ხელსაწყოებმა. სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ მწყობრიდან გამოვიდა კონუსი. მაღალი ტემპერატურის შედეგად წარმოძმა გაძარცვა, რომლებშიც გაზი უდიდესი ძალით მიისწრაფოდა ზევითკენ და თან მიჰქონდა კაზმი და კოქსი. ეს იმურბოდა ბრძმედის შეჩერებით, დიდძალი თუჯის დაკარგვით.

ავარიის ადგილზე მოსულმა გაზის გადამრჩენელთა რაზმმა სწრაფად განსაზღვრა გამოქრევის მოცულობა. საჭირო იყო ფარების დაყენება, ფარებით კონუსის ნახვრეტების დაფარვა და შედუღება. საქმეს ხელი მოჰკიდეს სარემონტო-საქცევე საამქროს შემდუღებლებმა პეტრე ნიკულენკომ, ნიკოლოზ ლიმარმა და ნიკოლოზ გრიშინმა. ჩაიცვეს რა მაუდის სქელი ტანსაცმელი, ისინი სამონტაჟო სარკმელით აცოცდნენ 60 მეტრ სიმაღლეზე კონუსთა შორის სივრცეში და შეუდგნენ შედუღებას. მუშაობდნენ მძიმე პირობებში, თვითეული 5-10 წუთის განმავლობაში ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს. ჭაბუკთა გამძლეობამ გაიმარჯვა. ექვსი საათის განმავლობაში გამოქრეკები შედუღებულ იქნა, ავარია — ლიკვიდირებული.

მებრძმედებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს მამაც შემდუღებლებს, ქარხნის ხელმძღვანელობამ კი ისინი პრემიით დაჯილდოვა.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ამ ქალიშვილებმა მტკიცედ გადაწყვიტეს სამუშაოდ საწარმოში წასვლა. ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში ახალმისულები გულთბილად მიიღეს და სამუშაო უბანიც მიუჩინეს. მუყაითი შრომითა და გამოცდილი ოსტატების დახმარებით ისინი სხვადასხვა პროფესიებს დაეუფლნენ და ახლა საწარმოო დავალებებს სისტემატურად 110-130 პროცენტით ასაღდებენ.

სურათზე: (მარცხნიდან) გამკრიალებელი ე. ტუკაევა, მედაზგის თანაშემწეები ტ. ლომიძე, ე. გელაშვილი, მედაზგე ე. დგებუაძე, მედაზგის თანაშემწეები ლ. ხვედელიძე და ე. გორგაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, პარასკევი, 5 აგვისტო, 1960 წ.

ამერიკის დიპლომატიის მაქინაციები

სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადება სამი სახელმწიფოს თათბირზე

ჟენევა, 2 აგვისტო. (საკ.). დღეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სამი სახელმწიფოს თათბირზე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ს. კ. ცარაპკინმა გააკეთა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი წინადადების გამო მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა განხორციელებისადმი კონტროლის შესახებ.

ცნობილია, რომ სეისმური კვლევის მიზნით მიწისქვეშა ატომური აფეთქებებისადმი კონტროლის პირობების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც უნდა გადაჭრას სამი სახელმწიფოს თათბირმა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

როგორც აქ აღნიშნავენ, წინადადება სეისმური კვლევის განხორციელების შესახებ წამოაყენეს შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც სცადეს საეჭვოდ გაეხადათ 1958 წლის 8 ქვეყნის მეცნიერ-ექსპერტთა მიერ შეთანხმებული რეკომენდაციები კონტროლის სისტემის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამას წინათ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს განახორციელოს მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა სერია ასეთი კვლევის მიზნით. საბჭოთა კავშირს არ მიანნია საჭიროდ კვლევის რაიმე სპეციალური პროგრამა და მით უფრო ატომურ აფეთქებათა განხორციელება, რამდენადაც რეკომენდაციები კონტროლის მეთოდების შესახებ, რომლებიც 1958 წელს შეიმუშავეს ექსპერტებმა ამერიკელ მეცნიერთა მონაწილეობით, სავსებით უზრუნველყოფენ ნამდვილ და საიმედო კონტროლს. მაგრამ საბჭოთა კავშირი იმიტომ დათანხმდა კვლევის პროგრამისა და შეზღუდული რაოდენობის აფეთქებათა განხორციელებაზე, რომ დაძლეულიყო დაბრკოლებანი, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა შექმნეს მოლაპარაკების მსვლელობაში.

ექსპერიმენტული აფეთქებებისადმი კონტროლი, რასაც თავდაპირველად მოითხოვდნენ შეერთებული შტატები, აშკარად ფიქციური ხასიათის იყო. ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება ამის შესახებ მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ აფეთქებისათვის განკუთვნილი ატომური მოწყობილობანი წინასწარ უნდა მოთავსონ დახურულ ყუთებში, ანავის არ უნდა აჩვენონ და სპეციალურ საწყობებში შეინახონ. მათი აფეთქების მომენტამდე. საბჭოთა დელეგაციის კრიტიკა ზეგავლენით შეერთებულმა შტატებმა აღიარეს, რომ საჭიროა ატომურ მოწყობილობათა შინაგანი კონსტრუქციის ინსპექცია, მაგრამ ეს თავიანთი თანხმობა მათ განაპირობეს ეგრეთწოდებული პულის ორგანიზაციით, რომელშიც სამივე მონაწილემ — სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უნდა გადასცენ თავიანთი ასაფეთქებელი მოწყობილობანი.

მე, თქვა ს. კ. ცარაპკინმა თავის განცხადებაში, დავალებული მაქვს გამოვაქვეყნო საბჭოთა მთავრობის შემდეგი განცხადება პასუხად შეერთებული შტატების წინადადებისა გარანტიების შესახებ, რომელიც მათ შემოიტანეს მიმდინარე წლის 12 ივლისს.

საბჭოთა მთავრობამ განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი წინადადება კვლევის მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა განხორციელებისადმი კონტროლის შესახებ და აღნიშნავს როგორც დადებით ფაქტს, რომ შეერთებული შტატები ამყარად დასაბუთებულად ცნობენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს სეისმური კვლევის განხორციელებისათვის განკუთვნილ ატომურ მოწყობილობათა შინაგანი ინსპექციის საჭიროების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა ატომურ მოწყობილობათა შინაგანი კონსტრუქციის დათვალიერებაზე შესაძლებელს ხდის, რომ შემოშვებულ იქნას ურთიერთმისაღები ფორმულა დებულებისა კონტროლის შესახებ, რომელთა მიზანი იქნება არ დაუშვან იმ ატომურ აფეთქებათა გამოყენება, რასაც სეისმური კვლევის პროგრამით ახორციელებენ, ატომგულის იარაღის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოთა კავშირი არ არის წინააღმდეგი, რომ შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მოაწყონ პული, რომელშიც მათ სურთ გადასცენ ატომური მოწყობილობანი კვლევითი მიწისქვეშა ატომური აფეთქებების განსახორციელებლად. მაგრამ საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება იმას, რომ საბჭოთა კავშირმა მიაწოდოს შეერთებულ შტატებს ატომური მუხტები კვლევის ა თ ვ ი ს, რომელიც საბჭოთა მთავრობას არ მიაჩნია საჭიროდ და რომელზედაც იგი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ აღმოიფხვრას დაბრკოლება, რომელიც შეერთებულმა შტატებმა შექმნეს მოლაპარაკების გზაზე, და რომ აძრიგად დაჩქარდეს ხელშეკრულების დადება. სეისმური კვლევის უზრუნველყოფას ატომური დანადგარებით უნდა ახორციელებდეს ის მხარე, რომელიც ამ კვლევის ინიციატორია და რომელსაც განზრახული აქვს ამ მიზნით განახორციელოს ატომური აფეთქებანი, ესე იგი ამ შემთხვევაში შეერთებული შტატები.

საბჭოთა მთავრობა იღებს ცნობად ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადებას თათბირზე, რომ კვლევითი აფეთქებებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გამოყენებულ იქნება მოძველებული ატომური მოწყობილობანი, ესე იგი ისეთი მოწყობილობანი, რომლებიც ფაქტიურად არ წარმოადგენენ საიდუმლოებას ატომური სახელმწიფოებისათვის, და, მაშასადამე, რომელთა შინაგანმა დათვალიერებამ არ შეიძლება მისცეს რაიმე ცალმხრივი სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირს, რომელსაც აქვს, როგორც ეს კარგად ცნობილია, ატომური და წყალბადის იარაღის უაღრესად მრავალფეროვანი და უახლესი სახეობანი. ერთადერთი მიზეზი, რატომაც სსრ კავშირი მოითხოვს თავისი კონტროლის პირობების მილებას, არის ის, რომ დარწმუნდეს, რომ შეერთებული შტატების მიერ კვლევითი ატომური აფეთქებების განხორციელების დროს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ იქნება დატოვებული რაიმე საშუალება ატომგულის იარაღის არსებული ნიმუშების გასაუმჯობესებლად ან ახალი ნიმუშების გამოსაცდელად.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც თვითონ აღიარებენ საკვლევი აფეთქებებისათვის განკუთვნილ ატომურ მოწყობილობათა შინაგანი ინსპექციის საჭიროებას, არ უნდა ჰქონდეთ არავითარი საფუძველი უარი თქვან 1960 წლის 15 იანვნის საბჭოთა წინადადების მიღებაზე, რომელიც შეიცავს ოთხ პირობას, რომელთა შესრულება საბჭოთა მთავრობას სავალდებულოდ მიაჩნია იმისათვის, რომ გამორიცხოს სეისმური კვლევის მსვლელობაში ატომურ აფეთქებათა გამოყენება ატომგულის იარაღის არსებული ნიმუშების გაუმჯობესების, ან ახალი ნიმუშების დაუშვებლობისათვის.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა დამწერეთ მოაგონა კონტროლის პირობები, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა სამი სახელმწიფოს თათბირის ამა წლის 15 ივნისის სხდომაზე და რომლებიც საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია გამოყენებულ იქნას კვლევითი მიზნით ატომური აფეთქებების მიმართ. პროგრამის სხვა მონაწილეებს წინასწარ უნდა წარედგინოს ასაფეთქებელი მოწყობილობის კონსტრუქციის სრული აღწერა და ნახაზები და დაშვებულ უნდა იქნას ასეთი მოწყობილობის შინაგანი და გარეგანი კონსტრუქციის ინსპექცია;

მოწყობილობის აწყობისა და აფეთქების ადგილზე უნდა იყვნენ პროგრამის ყველა მონაწილის წარმომადგენელნი: პროგრამის ყველა მონაწილემ უნდა დადგას ხელსაწყოები და აპარატურა გაზომვათა განსახორციელებლად; აფეთქების შედეგად მიღებული ყველა მონაცემი უნდა წარედგინოს პროგრამის მონაწილეებს.

აღნიშნულ დებულებათა დაცვა, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა, უზრუნველყოფს არა ფიქციურ, არამედ ნამდვილ კონტროლს და ყველა მონაწილეს შთაუნერგავს რწმენას, რომ მიწისქვეშა ატომური აფეთქებანი შეესაბამებიან თავიანთ დანიშნულებას და მათ არ იყენებენ იმისათვის, რომ შემდგომ წასწონონ წინ მასობრივი მოსპობის იარაღის განვითარების საქმე.

ზემო ვოლტა დამოუკიდებლობას იღებს

პარიზი, 4 აგვისტო. (საკ.). 4 აგვისტოს ღამით გაიმართება აფრიკის ზემო ვოლტის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების საზეიმო ცერემონია, ეს იქნება დასავლეთ აფრიკის უკვე მესამე რესპუბლიკა, რომელიც დამოუკიდებლობას იღებს საფრანგეთის გაერთიანების ჩარჩოებში აგვისტოს განმავლობაში. 1 და 3 აგვისტოს დამოუკიდებლობა შესაბამისად მიიღეს დაგომეამ და ნიგერმა.

* * *

ზემო ვოლტა მდებარეობს მატერიკის შიგნით და არა აქვს გასასვლელი ზღვისაკენ. მის სამხრეთით მდებარეობს სპილოს ძვლის ნაპირი. განა, ტოგო და დაგომეა. ჩრდილოეთით — მალის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი სუდანი და ნიგერი. ზემო ვოლტის ფართობია 370 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა ყველაზე მეჭიდრო დასავლეთ აფრიკაში. აქ ცხოვრობს 3,5 მილიონი კაცი. რესპუბლიკის დედაქალაქია ვაგადუგუ.

ნიგერი
ფედერაცია
(საფრ.)
ზემო ვოლტა
ნიგერი
(საფრ.)
ზემო
ვოლტა
(საფრ.)
ბენინი
(საფრ.)
ტოგო
(საფრ.)
ბენინის
ბენინ-ნიგერასი
ბენინ-ტოგოს
ბენინ-ბურკინა-ფასოს
ბენინ-ბურკინა-ფასოს
ბენინ-ბურკინა-ფას